საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/71

ქ. ბათუმი 08 ივლისი, 2019 წ.

ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N2 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების და ,,სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N56 გადაწყვეტილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს **ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის** თანდართული **წესი (დანართი N1).**
2. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული, ანტიპლაგის პროგრამაში განთავსებული ნაშრომის შემოწმებისას ციტირებული ტექსტის, ბიბლიოგრაფიის ან/და სხვა რესურსებთან თანხვედრის მაქსიმუმ 3%-ის გამორიცხვის 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საგამოცდო პროცესში (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება) დასაშვებობის ინდივიდუალური შემთხვევები დარეგულირდეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
3. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს უზრუნველყონ წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ფუნქციების შემსრულებელი პირების განსაზღვრა და გონივრულ ვადაში რექტორისთვის წარდგენა.
4. დაევალოს ბსუ-ს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს წინამდებარე დადგენილების აღსრულება, ხოლო ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს,

რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და სამეცნიერო კვლევების სამსახურს - აღსრულების მონიტორინგი.

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის
8 ივლისის N06-01/71 დადგენილების
დანართი N1

ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წინამდებარე წესი (შემდეგში ,,წესი“) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი“/,,ბსუ“) აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკას, მექანიზმებს, დარღვევის სახეები და მასზე რეაგირების პროცედურას და სანქციებს.

2. წესი ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალზე (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულზე), სტუდენტებზე, პროფესიულ სტუდენტებზე და მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამების მსმენელებზე (შემდეგში ,,სტუდენტები“).

3. წესის შემუშავების მიზანია ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, ამ კვლევების შედეგების (ნაშრომი, სტატია, წიგნი, პროექტი ან სხვა პროდუქტი) გავრცელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ეთიკური ნორმების და სტანდარტების აღიარება და დაცვა (კვლევის შესაბამის მიმართულებაში დადგენილი პროფესიული ეთიკის ნორმების, ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესის, ბსუ-ში დადგენილი ბიბლიოგრაფიის, ციტირების წესის ან/და სხვა აქტებისა და მოთხოვნების დაცვა).

4. წესის შემუშავების საფუძველია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ბსუ-ს წესდება, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

5. წესი არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ყველა შემთხვევის აღწერილობას (პლაგიატის ყველა შესაძლო ფორმას/სახეს), თუმცა მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ პირებს მიაწოდოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები.

მუხლი 2. საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები

1. ბსუ-ში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) აკადემიური და ინტელექტუალური თავისუფლება - რომლის მიზანია ხელი შეუწყოს პირებს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესში, ამასთანავე, უზრუნველყოს აზრის გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება;

ბ) კეთილსინდისიერება - სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესში საკუთარი უფლება-მოვალეობების მართლზომიერად და გულისხმიერად შესრულება;

გ) ხარისხი - სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესში;

დ) სამართლიანობა - პიროვნების პატივისცემა და მისდამი ობიექტური, სამართლიანი, არადისკრიმინაციული და მიუკერძოებელი მოპყრობა;

ე) ანგარიშვალდებულება - მინიჭებული უფლებებისა და ნაკისრი ვალდებულებების გამჭვირვალედ, სრულად და ჯეროვნად განხორციელება.

მუხლი 3. პლაგიატის პრევენცია

1. პლაგიატი (ლათინურად ,,Plagiatus") ნიშნავს ნაშრომის გამოყენება-მითვისებას, ავტორის მითითების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება ბსუ-ს ეთიკის კოდექსსა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წინამდებარე წესს.

2. ბსუ-ს **პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება** პლაგიატის **დაუშვებლობის** შესახებ **(შემდეგში ,,პლაგიატის პრევენცია")** უზრუნველყოფილია ბსუ-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით (ბსუ-ს წესდება, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და დოქტორანტურის დებულება) და წინამდებარე წესით.

3. ბსუ-ში **პლაგიატის პრევენციული ღონისძიებებია:**

ა) ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის ,,აკადემიური წერის" საშუალებით, სწავლების პირველივე წელს, ბსუ-ს სტუდენტთა აკადემიური კეთილსინდისიერების თვითშეგნების ამაღლება;

ბ) სტუდენტთა მიერ სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის შესრულების მიზნით წარმოდგენილი ნაშრომების (ესე, რეფერატი, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა) ანტიპლაგის პროგრამით შემოწმება;

გ) პლაგიატის პრევენციისა და სტუდენტებისა და პერსონალისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge) წინამდებარე წესის განთავსება;

დ) საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და პერსონალთან, **ანტიპლაგის პროგრამის** მუშაობის წესების გაცნობასთან დაკავშირებით და პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი სანქციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 4. პლაგიატის გამოვლენის მექანიზმები და ანტიპლაგის პროგრამა

1. აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტების გამოვლენა ბსუ-ში შესაძლებელია როგორც მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალის დამუშავებით, ასევე ელექტრონულად, ანტიპლაგის პროგრამის მეშვეობით.

2. ანტიპლაგის პროგრამა არის აკადემიური არაკეთილსინდისიერების/პლაგიატის გამოვლენის (დეტექტირების) ელექტრონული სისტემა (Turnitin - ერაზმუს + საგრანტო პროექტის №2017585841-EPP-1-2017-1-GE-EPPKA2-CBHE-SP - ,,აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში" (Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia - INTEGRITY) ფარგლებში შეძენილი პროგრამა), რომელიც ინტეგრირებულია ელექტრონული სწავლების Moodle-ის პლატფორმაზე.

3. ანტიპლაგის პროგრამის მართვა და ადმინისტრირება ძირითადად

ხორციელდება ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის, ხოლო ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ შემთხვევაში - ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეულის/დასაქმებულის მიერ.

4. ანტიპლაგის პროგრამის მომხმარებელი შეიძლება იყოს ბსუ-ს დასაქმებული, სტუდენტი ან პროფესიული სტუდენტი.

5. პროგრამის (Moodle-ის პლატფორმა) ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ბსუ-ს მომხმარებელს გადაეცემა შესაბამისი ფუნქციის სააღრიცხვო ჩანაწერი (account), რომლითაც ხდება პროგრამის მოდულებში ოპერირება (სხვადასხვა ჩანაწერის შექმნა, რედაქტირება, დათვალიერება და ა. შ.).

6. ანტიპლაგის პროგრამაში განთავსებული ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით, დასაშვებია ციტირებული ტექსტის, ბიბლიოგრაფიის ან/და სხვა რესურსებთან თანხვედრის მაქსიმუმ 3%-ის გამორიცხვა.

მუხლი 5. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეები

1. ბსუ-ს საუნივერსიტეტო საქმიანობაში (სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად განიხილება (შემდეგში „პლაგიატის სახეები“):

ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, ავტორის სიტყვების უმნიშვნელოდ ან მნიშვნელოვანწილად ცვლილება ავტორის მითითების გარეშე (პერიფრაზისას ზუსტად უნდა ჩანდეს, ვის იდეას ეხმაურება ავტორი და როდის);

გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;

დ) პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობით; ავტორების ან წყაროების მითითებისას გარკვეული სახის ინფორმაციის გამორჩენა ან არევა;

ე) საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე;

ვ) თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ არაერთხელ წარდგენა/გამოქვეყნება ციტირების ან შესაბამისი მითითების გარეშე (მაგალითად: სხვადასხვა პუბლიკაციებში ერთი და იგივე თავების გამეორება შესაბამისი მითითების გარეშე; სტუდენტების მიერ ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა მიზნებისთვის (სხვადასხვა კურსის, სხვადასხვა პროგრამის, პროექტის, კონკურსის ფარგლებში);

ზ) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია - ნაშრომში მონაცემების ცვლილება, მონაცემებით მანიპულირება, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენება, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე, რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

თ) გამოუქვეყნებელი მასალის (ნაშრომი, სალექციო კურსი და სხვა) გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე;

ი) სამეცნიერო შედეგების განადგურება - საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურება დამფინანსებლის ხელშეკრულების,

უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, შიგა რეგულაციების და პროფესიული ან დისციპლინური სტანდარტების დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 6. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის კატეგორიები

1. წინამდებარე წესში აღნიშნული აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტები - პლაგიატის სახეები, მათი სიმძიმის თვალსაზრისით, შესაძლებელია შეფასდეს დარღვევის **შემდეგ კატეგორიებად:**

ა) ნაკლებად მძიმე (მსუბუქი) დარღვევა;

ბ) საშუალო სიმძიმის დარღვევა;

გ) მძიმე (უხეში) დარღვევა.

2. **ნაკლებად მძიმე (მსუბუქ) დარღვევად** განიხილება წინამდებარე წესის მიხედვით განმარტებული:

ა) პლაგიატი დაუდევრობით;

ბ) პერიფრაზირებული პლაგიატი (უმნიშვნელოდ);

გ) თვითპლაგიატი (ნაწილობრივ).

3. **საშუალო სიმძიმის დარღვევად** განიხილება წინამდებარე წესის მიხედვით განმარტებული:

ა) პერიფრაზირებული პლაგიატი (მნიშვნელოვანწილად);

ბ) თვითპლაგიატი (სრულად);

გ) გამოუქვეყნებელი მასალის გამოყენება;

დ) წინამდებარე მუხლში მითითებული ნაკლებად მძიმე დარღვევის გამოსწორების თაობაზე ბსუ-ს უფლებამოსილი პირის მიერ მითითების, დამრღვევი პირის მიერ დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა;

ე) წინამდებარე მუხლში მითითებული ნაკლებად მძიმე დარღვევის გამეორება დარღვევის ჩადენიდან 1 წლის ფარგლებში.

4. **მძიმე (უხეშ) დარღვევად** განიხილება წინამდებარე წესის მიხედვით განმარტებული:

ა) პირდაპირი პლაგიატი;

ბ) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია;

გ) მოზაიკური პლაგიატი;

დ) სამეცნიერო შედეგების განადგურება;

ე) საავტორო უფლებების დარღვევა;

ვ) წინამდებარე მუხლში მითითებული საშუალო სიმძიმის დარღვევის ჩადენიდან 2 წლის ფარგლებში ნაკლებად მძიმე სიმძიმის დარღვევის ან 1 წლის ფარგლებში საშუალო სიმძიმის დარღვევის განმეორებით ჩადენა.

მუხლი 7. სანქციები აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე

1. დარღვევის კატეგორიის განსაზღვრის შემთხვევაში უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები (სანქციები):

ა) სტუდენტის მიმართ:

1. **ნაკლებად მძიმე (მსუბუქი) დარღვევის შემთხვევაში:**

ა) უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევს განემარტება დარღვევის არსი და მიეთითება დარღვევის გამოსწორების შესახებ (ამავდროულად უნდა განესაზღვროს

ვადა გამოსწორებისათვის);

ბ) ნაშრომი არ შეფასდება მანამ, სანამ არ შესრულდება უფლებამოსილი პირის მითითება ხარვეზის გამოსწორების შესახებ, ხოლო თუკი განსაზღვრული ვადა გავიდა და სტუდენტმა არ წარმოადგინა რედაქტირებული, უხარვეზო ნაშრომი, სტუდენტი შეფასდება ,,0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა) და შემფასებლის მიერ ეცნობება შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას;

2. საშუალო სიმძიმის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევი შეფასდება ,,0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა), განემარტება დარღვევის არსი და ამავდროულად ეცნობება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და ეთიკის კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური სახდელი - შენიშვნა ან გაფრთხილება.

3. მძიმე (უხეში) დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევი შეფასდება ,,0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა), განემარტება დარღვევის არსი და ამავდროულად ეცნობება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და ეთიკის კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - მხოლოდ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

ბ) პერსონალის მიმართ:

1. ნაკლებად მძიმე (მსუბუქი) დარღვევის შემთხვევაში:

ა) სასწავლო კურსის წარმმართველს/სამეცნიერო ხელმძღვანელს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება სტუდენტის ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის დაფარვის (გაუმჟღავნებლობის) შემთხვევაში;

ბ) ეძლევა წერილობითი გაფრთხილება ან შეეფარდება დისციპლინური სახდელი - შენიშვნა.

2. საშუალო სიმძიმის დარღვევის შემთხვევაში: შეეფარდება დისციპლინური სახდელი - შენიშვნა ან საყვედური;

3. მძიმე (უხეში) დარღვევის შემთხვევაში: შეეფარდება დისციპლინური სახდელი - საყვედური ან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

2. დისციპლინური სახდელის სახის განსზღვრის დროს უფლებამოსილმა პირმა/კომისიამ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, სიმძიმე, დამრღვევის შრომითი საქმიანობა და დამდგარი ზიანი.

3. წინამდებარე მუხლში აღნიშნულ დარღვევაზე რეაგირების ნებისმიერ ღონისძიებასთან ერთად, უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, შესაძლებელია დადგინდეს დამრღვევისათვის აკადემიურ საქმისწარმოებასთან (აკადემიური ეთიკის სტანდარტებთან) დაკავშირებით ინსტრუქციის/კონსულტაციების ჩატარების საჭიროება, ხოლო შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია ხელი შეუწყოს მის აღსრულებას.

მუხლი 8. პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის შესრულების პროცესში

1. დარგობრივ დეპარტამენტში *საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის* წინასწარ განხილვაზე (აპრობაციაზე) დაშვების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც ანტიპლაგის პროგრამით;

2. *საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში* საშუალო სიმძიმის პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს Moodle-ის პლატფორმაზე. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში უხეში პლაგიატის ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში საშუალო სიმძიმის პლაგიატის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება ,,0“ ქულით (F – ჩაიჭრა)“.

3. *სადოქტორო ნაშრომში* პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის კატეგორიებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისთვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს.

მუხლი 9. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე რეაგირება და ეთიკის კომისია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე რეაგირებისათვის უნდა წარედგინოს განცხადება ან სამსახურებრივი ბარათი:

ა) ბსუ-ს რექტორს - თუკი სავარაუდო დამრღვევი უნივერსიტეტის პერსონალია;

ბ) ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს - თუკი სავარაუდო დამრღვევი ამ ფაკულტეტის სტუდენტია;

გ) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს - თუკი სავარაუდო დამრღვევი პროფესიული სტუდენტია და მსმენელი.

2. სამსახურებრივ ბარათს წარადგენს დასაქმებული, ვინც სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებულია გამოვლინების წყაროსთან (საგნის ლექტორი, სამეცნიერო ხელმძღვანელი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანის ოფისის პერსონალი, ანტიპლაგის პროგრამის მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პროგრამის მეშვეობით ნაშრომის შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი).

3. განცხადებას წარადგენს ის პირი, ვინც დაინტერესებულია აკადემიური ეთიკის დარღვევის ფაქტის გამოვლენით/დადასტურებით (სტუდენტი, ავტორი, კოლეგა, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ან სხვა).

4. აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევაში რექტორის/დეკანის ბრძანებით იქმნება აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია (შემდეგში ,,ეთიკის

კომისია“), არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. კომისიის დაკომპლექტებისას დაუშვებელია ინტერესთა კონფლიქტი.

5. აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ უნდა ჩაატაროს სრული, ობიექტური და ყოველმხრივი მოკვლევა (ბსუ-ს ან/და სხვა დაწესებულების სტრუქტურებიდან გამოითხოვოს დოკუმენტაცია, მოისმინოს განმცხადებლის, დაინტერესებული პირების და ასევე იმ პირების განმარტებები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ ინფორმაცია განცხადებაში აღნიშნულ სავარუდო ეთიკურ დილემასთან, შეაფასოს მტკიცებულებები, კვლევის წარმოება ასახოს შესაბამის სხდომის ოქმებში და შეადგინოს დასკვნა).

6. ჩატარებული მოკვლევის შედეგად მომზადებულ ეთიკის კომისიის დასკვნაში უნდა აისახოს ეთიკური დარღვევის სახე, კატეგორია (სიმძიმე) და რეკომენდაცია გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

7. კომისიის დასკვნა წარედგინება წინამდებარე წესით გათვალისწინებულ პირს (ფაკულტეტის დეკანს/ცენტრის დირექტორს/რექტორს).

8. კომისიის დასკვნა გასაცნობად ეგზავნება სავარაუდო დამრღვევს, განმცხადებელს/დაინტერესებულ პირს. ეს პირები უფლებამოსილი არიან დასკვნის გაგზავნიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა წარმოადგინონ დასკვნის შესახებ საკუთარი მოსაზრებები.

9. კომისიის დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, უფლებამოსილი პირი (რექტორი ან ფაკულტეტის დეკანი, იმის მიხედვით, თუ ვინ არის დამრღვევი ან რა სიმძიმის დარღვევაა) იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას აკადემიური ეთიკის დარღვევის გამო დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე ან აკადემიური ეთიკის დარღვევის არარსებობის გამო დისციპლინური საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

10. აკადემიური ეთიკის დარღვევის გამო დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე ბრძანების გამოცემის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი წარდგინებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს, სტუდენტისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნით (თუკი უკვე მინიჭებულია) ან აკადემიური ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების დროს საბჭოს მიერ გასათვალისწინებლად (თუკი ჯერ მიღებული არ არის).